ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-63

2010 წლის 1 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 დეკემბრის №-126 განკარგულებით დამტკიცებული „ 2010 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა – განრიგში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 დეკემბრის №-126 განკარგულებით დამტკიცებული „ 2010 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა – განრიგში“ შევიდეს ცვლილებები თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №-7 დადგენილებით დამტკიცებული „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 დეკემბრის №-26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**